

სრულიად  
საქართველოს  
რუსთაველის  
საზოგადოების  
გულრიფშის  
რაიონული  
განყოფილება

# საკრებულო

№ 1. 1989 წ. ნოემბერი.

ეს გაზეთი, მკითხველთა ჩვენი დიდი ხნის ნასათუთარი იმედია „საკრებულო“ ვუწოდეთ და დიდ მისიას ვაკისრებთ მას ყოველი სიტყვა მისი იქნება „ჭეშმარიტება და წრფელობა“.

ჩვენი „საკრებულო“ წარის ხმა უნდა შეუერთდეს იმ მოგუგუნე დედოფარისას, ასე ძალუმაღ რომ რეკს საქართველოში.

ხმაძლიერმა მოყვარე უნდა გავვიღვიძოთ და მტერს შიშის წარი დასცეს.

და მაშინ ჩავთვლით, რომ ტყუილად არ დავმშვრალვართ, რომ ჩვენი „საკრებულო“ საკრებულოს...



მერაბ კურდღელიას ფოტო.

ხალხს უნდა, რომ რუსთაველის საზოგადოებამ საქართველოსა და ქართველი ერის პატრონობა ითაოს. თუ რუსთაველის საზოგადოებამ ეს ვერ მოახერხა, მას დაეკარგება ყოველგვარი ავტორიტეტი ხალხის თვალში.

ააპაი გაპრაპე.

## საქართველოს კვ წმ პირველ გლივანს ბ-ნ გივი გუმბარაძეს საქართველოს კვ აფხაზეთის სოლქო კოვიტაძეს პირველ გლივანს ბ-ნ ვლადიმერ ხიშბას

მიგვაჩნია, რომ საქ. კვ ცკ და საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის პრობლემის სამართლიანი გადაჭრის დანაშაულებრივმა გაკინაურებამ, აღნიშნულ საკითხზე სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ე. წ. „კომისიის“ ცალმხრივმა და მიყრდნობულმა დასკვნამ საბჭოს წევრი როლი შეასრულა ა. წ. 15-16 ივლისს აფხაზეთში დატრიალებულ სისხლიან ტრაგედიაში.

ყოველად გაუმართლებლად ვთვლით საქ. კვ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს ა. წ. 30 სექტემბრის დადგენილებას ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების დაწყების 15 ოქტომბრამდე გადატანის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება, რა საბაბითაც არ უნდა იყოს ეს მიღებული, ექსტრემისტების წისქვილზე ასხამს წყალს, ახელს უწყობს დაძაბულობის ესკალაციას, რასაც შეიძლება მოჰყვეს კატასტროფული შედეგები.

ბიუროს ეს დადგენილება მიგვაჩნია უკანონოდ. იგი ეწინააღმდეგება აღნიშნულ საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის მიერ აღწერილ მიღებულ დადგენილებებს, გან-

ხილული უნდა იქნას, როგორც ფილიალზე უბეში შემოქმედებისა და ძალდატანების აქტი და დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს.

უნივერსიტეტის პრობლემა არის პოლიტიკური და ერთაშორის ურთიერთობათა კრიზისის პირდაპირი შედეგი. მისი გონივრული გადაწყვეტა ასევე დამოკიდებული იქნება პოლიტიკური ცხოვრებისა და ერთაშორის ურთიერთობათა ნორმალიზაციაზე. ამდენად, უნაყოფოდ გვესახება აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თსუ-ს სოხუმის ფილიალის ნებისმიერი სახით გაერთიანების ცდები კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების ლიკვიდაციამდე.

ქართველი ერი ყოველთვის ესწრაფოდა და ესწრაფვის დღესაც, საქართველოს მიწაზე იქმნებოდეს და ვითარდებოდეს მეცნიერების, განათლების, კულტურის თუ სარწმუნოების ერთობლივი ქართულ-აფხაზური კერები. სწორედ რომ ქართველ მეცნიერთა დიდი ჯაფა და შრომა უდევს საფუძვლად სოხუმის ა. მ. გორაკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსებასა და მის შემდგომ განვითარებას. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსი-

ტეტის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებმაც შეუქმნეს მას საუნივერსიტეტო კულტურა, აღუზარდეს კარები და ფაქტობრივად დააყენეს საკუთარ ფეხზე.

დავიწყებთ არ უნდა მიეცეს არც იმ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკთა დამსახურება, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს აფხაზური სკოლის, ხელოვნებისა და ლიტერატურის ჩასახვანვითარებას.

ერთობლივი შრომით შექმნილ ღირებულებებს აფხაზმა ექსტრემისტებმა უმძიმესი ზიანი მიაყენეს: ორი მოძმე ერის საუკუნოვანი თანაცხოვრების ხელთუქმნელი ტილო სისხლის ლაქებით დაიფარა, დაიღვრა უდანაშაულოთა სისხლი, მოხდა სამარცხინო აქცია—თავდასხმა ქართველ ხალხზე და ყოველგვარ ქართულზე.

საგანგაშოა, მაგრამ ფაქტია: ვერც 15 ივლისის ტრაგედიამდე და ვერც მის შემდგომ აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელობა ვერ ფლობს პოლიტიკურ-ოპერატიულ სიტუაციას და აშკარად მოექცა აფხაზი სეპარატისტების დიქტატის ქვეშ.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

## აფხაზეთის მოსახლეობისადმი

ჩვენ, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის კონფერენციის დელეგატები, შეგუფოთებას გამოვთქვამთ იმ პროცესების გამო, რომლებმაც ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაამწვავეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია როგორც ავტონომიური რესპუბლიკაში, ისე საქართველოში მთლიანად. აგერ უკვე თითქმის ნახევარ წელზე მეტია, რაც სეპარატისტული ძალები აფხაზეთში, სამაჩაბლოსა და ქვემო ქართლში ეწვეიან ალვირახსნილ ანტიქართულ პროპაგანდას აფხაზურ, ოსურ და აზერბაიჯანულ მოსახლეობაში და უბიძგებენ მათ არაკანონიერ, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებისაკენ. თუ ქვემო ქართლში რამდენადმე მოხერხდა ექსტრემისტთა ალაგვება, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მდგომარეობა დღესაც უკიდურესად დაძაბულია. თავიანთ „სულიერ მამათა“, მათ შორის სსრკ სახალხო დეპუტატის მანდატს ამოფარებულ „ვაი-მოღვაწეთა“ „იდეურ-თეორიული პოსტულატებით“ შეიარაღებული აფხაზი სეპარატისტები აღარ ეხსენებიან „აფხაზურ წერილსა“ და ლიხნის თავყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილების — საქართველოს სსრ-დან აფხაზეთის ასსრ-ს გასვლისა და მისთვის მოყავშირე რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების შესახებ საკითხის დაყენებას სსრკ უმაღლეს პარტიულ და სახელმწიფოებრივ ორგანოებში. და ამ მიზნის მისაღწევად ყოველმხრივ ცდილობენ შესაფერისი სოციალურ-პოლიტიკური ფონის შექმნას აფხაზეთში. იბრძვიან რა შოვინისტური ლოზუნგს „აფხაზეთი—აფხაზეთისთვის“ რელიგიური საფუძვლის, ისინი დაუფარავად გაემოდიან ყოველგვარი ქართულის წინააღმდეგ, ხევე როგორც წინათ, ახლაც ამ ანტიქართული მოძრაობის უკან დგანან იმპერიული ძალები, რომლებიც ცდილობენ ზურგში ლახვარი ჩასცენ აღმავლობის გზაზე დამდგარ ეროვნულ მოძრაობას საქართველოში.

იმის ნაცვლად, რომ გაატარონ გადამწყვეტი ღონისძიებები, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ პარტიული და საბჭოთა ორგანოები კმაყოფილებიან შედაპირული ხასიათის საკადრო გადაადგილებებით, ვერ იქნა და ვერ მიეცა პოლიტიკური შეფასება აფხაზეთში ამ უკანასკნელ ხანს მომხდარ მოვლენებს: დანაშაულებრივად ქიანდებდა ა. წ. 1 აპრილს ბზიფსა და ახალ ათონში ჩადენილი ვანდალური აქტის ორგანიზატორთა და შემსრულებელთა გამოვლენა და კანონიერი დასჯა; აფხაზი სეპარატისტთა მფარველები, როგორც აქ, ისე სხვაგანაც, ყოველმხრივ ცდილობენ ჩიხში მოაქციონ ძიება 15-16 ივლისის ტრაგედიის ირგვლივ, რისი გამოხატულებაცაა სსრკ გენერალური პროკურორის სუბარგვის ყოველდღიური შეტყუანებით და გაუმართლებელი ბრძანება 15-16 ივლისის ამბებზე ძიების დროებით შეწყვეტის შესახებ, რომელიც პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა, არც შეტი, არც ნაკლები, აფხაზი სეპარატისტთა ერთერთი მოთხოვნის დაკმაყოფილებად გამოაცხადა.

კატეგორიულად მოვითხოვთ, ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს დამნაშავეთათვის ხელის გადაფარების მანკიერი პოლიტიკა, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ეს პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა უმჯობესია იზრუნოს მის მიერვე გერ კიდევ აპრილის დასაწყისში გამოტანილი დადგენილების შესრულებაზე, რომელიც დღემდე ფარატინა ქალაქადაა გადაქცეული—შესაბამისი პარტიული შეფასება მისცეს ლიხნის თავყრილობის მოთავეებს, აფხაზური სახალხო ფორუმის „იდეგლარას“ შეხვედრებს, რომლებიც, ლიხნისზმის დროს ამოფარებულნი, ალვივებენ ანტიქართულ ფსიქოზს და აფხაზეთი ეროვნებათაშორის კონფლიქტების არენად გადააქციეს. მიგვაჩნია, თუ ხელისუფლება არ გაატარებს ქმედით ღონისძიებებს ანტიქართული პროპაგანდის შესაჩერებლად, პოლიტიკური სიტუაცია რეგიონში და მთლიანად საქართველოში შეიძლება კიდევ უფრო დაიძაბოს და მიგვიყვანოს გაუთვალისწინებელ შედეგებამდე.

ამიტომ, მოვუწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ხელაინდელი დღე, ვისაც საქართველო თავის სამშობლოდ მიაჩნია, განუჩრქველად ეროვნებისა, მხარში ამოუდგეს ქართველ ხალხს თავისუფალი, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლაში და საკადრისი პასუხი გასცეს ყველა ჭურის სეპარატისტსა და ექსტრემისტს.

გაუმარჯოს პრტიანს, თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს!

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის კონფერენციის მონაწილენი.

1989 წლის 1 ოქტომბერი.

ყოველ აღამიანს აქვს უფლება მრწამის თავისუფლების და მისი თავისუფლად გამოთქმისა. ეს უფლება გორიცავს აღამიანის თავისუფლებას დამოუკიდებლად მისიღონ თავის მრწამს და პიროს, მიიღონ და გაავრცელონ იფორმაცია და იღაევი ნაბისიიერი სახელაწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

აღამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 19.

# საქართველოს კომუნისტური პარტია ბ-ნ გივი გუგუჩიძის საქართველოს კომუნისტური პარტია კომიტეტის პირველი სესიის ბ-ნ ვლადიმერ ხიშკას

(დასასრული)

დღეს ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ქართველებს ისეთივე ულტრამარცხენა პრეტენზიებს უყენებს, როგორც აფხაზი სეპარატისტები მათ მიერვე მოტყუებული მოსახლეობის ნაწილის თუ გაფიცულთა პირთ აშობს. კვლავ გაისმის მუქარა, არ ცხრება შანტაჟისა და ცილისწამების ფსიქოზი.

დაწმენილი ვართ, აფხაზ ექსტრემისტებს, რომლებსაც დასაყრდენი ჰყავთ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ყველა დონეზე, ნაკლებად აწუხებთ უნივერსიტეტის საკითხი. ისინი, მათვე განცხადებით, თანახმა არიან იარსებოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში, თუკი ის გატანილი იქნება ნაგურს გაღმა, უსაფუძვლოდ მოითხოვენ აგრეთვე საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის გაუქმებას და ა. შ.

გამოხატავთ რა მოსახლეობის ფართო მასების, სტუდენტთა ახალგაზრდობისა და ლექტორ-მასწავლებლების ერთიან აზრს, მიგვაჩნია, რომ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თათბარზე დიალოგის დაწყებისათვის საჭიროა შემდეგი:

1. განთავსდეს ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა აფხაზი სეპარატისტების დიქტატისაგან;
2. პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მიეცეს 15-16 ივლისის ტრაგედიას;
3. დაჩქარდეს გამოძიება და პასუხისმგებლობის მიყენება სისხლიანი თავდასხმის ორგანიზატორები და შემსრულებლები;
4. განხორციელდეს (დაიწყოს თუნდაც) საკადრო პოლიტი-

კის მკვეთრად გაჯანსაღების ღონისძიებები საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის საფუძველზე;

5. დაუყოვნებლივ შეწყდეს ქართველთა მიმართ ცილისწამებულური და პროვოკაციული ქმედებანი.

აფხაზ ექსტრემისტებს და იმათ, ვინც მათ უჭერს მხარს, ვაძლევთ წინადადებას—უარი თქვან უსაფუძვლო მოთხოვნებზე და შეწყვიტონ მზადება ახალი თავდასხმისათვის.

ელემენტარული ლოგიკა კარნახობს — მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის საჭიროა აღსდგეს ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი, ყველგან, მათ შორის უმაღლესი სკოლის კედლებშიც.

აქედან გამომდინარე, მოვითხოვთ: დაუყოვნებლივ განსაზღვროს მეცადინეობა და ჩატარდეს მისაღები გამოცდები სოხუმის ყველა უმაღლესი სასწავლებელში, მათ შორის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს სოხუმის ფილიალში; საქართველოს მინისტრთა საბჭოს განკარგულებაში და საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს ბრძანების შესაბამისად თსუ-ს სოხუმის ფილიალს შეექმნას ფუნქციონირების ნორმალური პირობები.

წინააღმდეგ შემთხვევაში, უფლებას ვიტოვებთ, მივმართოთ პროტესტის ზნეობით დაშვებულ ფორმებს.

**სსუ აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია, საზოგადოება „ლემი“.**

1989 წ. 8 ოქტომბერი.

**რედაქციისგან:** ეს მიმართვა, გარდა ადრესატებისა, პუბლიკაციისათვის გადაეცემა „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორს ბ-ნ თამაზ ჩოჩიას. უფალმა რედაქტორმა ჩვეული ოსტატობით თავი აარიდა პასუხისმგებლობას და დოკუმენტი ხოლქო კომიტეტისაკენ გააქანა. იქიდან კი უზენაესი განჩინება ასეთი იყო: ბიურო განიხილავს, შეისწავლის, გაიასუზნებთ. ჩვენ სხვას არც მოგვლოდით!

მივესალმები ქართულ ეროვნულ მოძრაობას. ეს წინგადადგმული ნაბაჯია ერთა თვითგამორკვევის საქმეში. ეს მისია აკისრიათ რუსთაველის საზოგადოებას, საქართველოს სახალხო ფრონტს, სწორედ მათ

## გარკადიშლი

უნდა შეაკავშირონ სრულიად საქართველო და ნათელი მომავლისაკენ წარუძღვინენ...

ქართველი ხალხი ყოველთვის იყო და არის კაცთმოყვარე, სტუმრის გულლიად მიმღები, თავისუფლების მოყვარე, რაც არაერთხელ დაამტკიცა საუკუნეების მანძილზე. სომეხი ხალხი სიზარულით შეხვდა ეროვნულ მოძრაობას. ქართველნი და სომეხნი წარმოადგენენ უძველესი ცივილიზაციის მქონე ერებს, რომელთაც ყოველთვის გააჩნდათ თვითმოყოფადობა და, ამასთან, ერთმანეთის მიმართ მეზობლური, მეგობრული დამოკიდებულება. ეს ორი ერი ურთიერთმხარდაჭერით იკავებდა გზას რთულ ისტორიულ პირობებში. თანადგომამ დიდად შეუწყო ხელი ტრადიციების შენარჩუნებას.

ასე იყო ათასწლეულების განმავლობაში, ასეა ჩვენს დროშიც და ასეც უნდა გაგრძელდეს. სომეხთს რომ გაუჭირდა, ქართველმა ხალხმა პირველმა გაუწოდა დახმარების ხელი, ჭრილობები დაუამა და იმ მძიმე დღეებში მომავლის რწმენა ჩაუწერა.

საქართველოსაც ძნელი დღეები უდგას და ჩვენც უნდა ამოვუდგეთ მხარში, ჩვენც უნდა ვაგრძობინოთ,

## იყოს!..

რომ ბევრი რამა გვაქვს საერთო... განდგომას, ღალატს არ გვაპატიებს წინაპართა სახელები.

აუცილებელია, რომ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონულ ორგანიზაციასთან ჩამოყალიბდეს სომეხ თანამომხეთა ასოციაცია, რაც კიდევ უფრო შეაღებებს ჩვენს ერებს.

დაე, მარადიული იყოს ქართველთა და სომეხთა მეგობრობა.

**გ. ჭონთაძანიანი.**

# ქეიქაბი სივარტლას იტხოვენი

ყველაზე მძაღ ქეიქაბა უპირატესი ივლისის იმ აპაღსახსენაველი დღეების სიმაღრა. ისინი, ღაპირითა სუნთქვას მიუშრავაბულნი, ხედავდნენ, რა ხედავდა საავადმყოფოს თათრზარდანი ფანჯრების მიღმა, ესმოდათ კანესა და გოდება და იმასაც გრძობდნენ, რომ ნაირრამ ვაჟაკებს პირლოგაბა მძაღ ღალატი ბი-ოღატი...

მითითა უმეხნობა გახინაც ჰიკარაბეს ფიცის ერთგული ღაჩაბ, მაგრამ ისეთინე აღმოჩნდნენ, სნაულს რომ არ უწავალს, არ მიუხვედნენ, სასიკავდილოდ გაიქეხნენ...

ამიტომაც გაისმა ქართველ ქეიქაბ ალფომთავის ხმა. ჯამ კიდევ ივლისში დაიწერა პირველი ოვციოალური წერილი... მას შემდეგ ვის არ მივართავნენ, ვისგან არ იტხოვენი...

## წერილები

როგორც თქვენთვის ცნობილია, ა. წ. 15 ივლისს მშვიდობიან ქართველ მოსახლეობას თავს დაესხა აფხაზი ეროვნების ექსტრემისტულად განწყობილ პირთა ჯგუფი. მთელი სამედიცინო საზოგადოებრიობა აღშფოთებულია ამ უპრეცედენტო აქტით. მაგრამ განსაკუთრებით მკაცრ შეფასებას მოითხოვს მედიკოსთა გარკვეული ჯგუფის ანტიპუმანური მოქმედების მიჩქმალვა აფხაზეთის ასსრ ჯანდაცვის სამინისტროს, უფრო ზუსტად კი მინისტრის ა. ე. აქშას მხრიდან.

ასე, მაგალითად, სასწრაფო დახმარების სადგურის ექიმმა მ. მამულაძემ იმ დღეს ქ. სოხუმის მეორე საავადმყოფოს (მთავარი ექიმი ვ. აბუხბა) მისაღებ განყოფილებაში მიიყვანა დაჭრილი ლ. ნადირაძე, მილიციის მუშაი ოზურგეთიდან. დაზარალებულის გასიჩვივას ერთ-ერთმა თანამშრომელმა ავღებულად თქვა, რომ ავადმყოფს სჭირდება მკურნალობა პირველი საავადმყოფოს პირობებში და დასძინა: „წაიყვანეთ იგი ქართულ საავადმყოფოში!!!“

იმის ნაცვლად, რომ ამ ანტიპუმანურ ფაქტზე რეაგირება მოეხდინათ და სათანადო შეფასება მიეცათ, ა. აქშა და ვ. აბუხბა თავიანთ გამოსვლებში აფხაზეთი ტელევიზიით ცდილობდნენ სიცრუის გზით გაეპართლებინათ ეს დანაშაული.

მეტეც, გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზია“ ერთ-ერთ ნომერში ჩნდება კორესპონდენტ ა. უკოვას საქმე-ბარი სტატია მეორე საავადმყოფოს მუშაკთა თავდადებული შრომის შესახებ მაშინ, როცა არსადა ნახსენები პირველი საავადმყოფოსა და აფხაზეთის ასსრ ჯანდაცვის სამინისტროს რესპუბლიკური საავადმყოფოს ნეიროქირურგიული განყოფილების სამედიცინო პერსონალის სიმამაცე არადა, რა მძიმე იყო მათთვის ის დამე!

სტატის ავტორი, მოვლენების აღწერისას, გვაძინობს, რომ იმ დამეს მეორე საავადმყოფოს მორიგე იყო რ. იპეჩიანი. მაგრამ სად იყო ქირურგი ზ. სმირი, რომელსაც უნდა ემორიგა? როგორ შეეძლო მას ასეთ დროს მიეტოვებინა საგუშუალო?

მომხდარის რეტროსპექტული ანალიზისას ეჭვი არ გვაპარება იმაში, რომ 15 ივლისს მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის მიმართ ჩადენილ იქნა სასტიკი, წინასწარ დაგეგმილი, წვრილმანებამდე განგაროებული, სისხლიანი აქცია. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის

ფაქტი, რომ იმ დამეს ტყვიას უშენდნენ პირველ საავადმყოფოსა და ნეიროქირურგიულ განყოფილებას, მაგრამ არავის უფერია მეორე საავადმყოფოს ექიმთა სიცოცხლის ხელყოფა.

მიუხედავად იმისა, რომ 15 ივლისს მეორე საავადმყოფო ურგენტული იყო, მის კედლებში დახმარება გაეწია მხოლოდ 48 ავადმყოფს, ხოლო პირველ საავადმყოფოში—110-ზე მეტ ადამიანს.

სავადმყოფო კომიტეტი მოითხოვს: აგვიხსნან, რა ძალა უბოროკავს ხელებს საქართველოს ჯანდაცვის მინისტრს ი. მენდარიშვილს, აფხაზეთის მთავრობას, საოლქო კომიტეტს, მინისტრთა საბჭოს, უმაღლეს საბჭოს, რომ ბოლოსდაბოლოს კაბინეტიდან გამოაბრძანონ საქ. კმ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს კოლეგიის მერ სამუშაოდან განთავისუფლებული აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრი ანატოლ აქშა? გვიანდა ვიცოდეთ, ეს ზემდგომი ორგანოების პოლიტიკური ძალაუფლების უსუსურობაა თუ კულისების მიღმა შიშაღული აგრესიული მფიოზური ძალების ყოვლისშემძლე სურვილი? მოგვყავს დანარჩენი ფაქტები:

1. მინისტრი აქშა სამი დღე-ღამის განმავლობაში არ მისულა, არც ტელეფონით დაინტერესებულა იმ უმოწყალოდ დაჭრილ-დაჩვილითა ბედით, რომლებიც აფხაზი ექსტრემისტების ხელთ განწირულნი სიკვდილს ებრძოდნენ რესპუბლიკური საავადმყოფოს პალატებში. სა-მაგიეროდ, მისი კაბინეტი და მთლიანად ჯანდაცვის სამინისტრო 15-16 ივლისს შვიი საქმეების შტაბად იყო გადაქცეული.

2. დღემდის არაა შეფასებული იმ აფხაზ ექიმთა საქციელი, რომელთაც 15-16 ივლისს უარი განაცხადეს დაჭრილ ქართველთა დახმარებაზე.

3. გუდაუთის რაიონის საავადმყოფოში ყოველგვარი ყურადღების გარეშე 24 საათი ებრძოდა სიკვდილს უძძიმეს მდგომარეობაში მყოფი ქართველი მოქალაქე ჩაკვეტაძე, რომელსაც ტყვიით სერიოზული ჭრილობა ჰქონდა მიყენებული სწორი ნაწლავის მიდამოში.

4. 15-16 ივლისს აფხაზი ექსტრემისტების სისასტიკე აპოგემდის იქნა აყვანილი, როცა მათ ავტომატის ცეცხლი დაუშინეს სასწრაფო დახმარების მანქანებს, საშველად

მისულ ექიმებს, საავადმყოფოს მე-ღვერონალს.

5. ქალაქის მეორე საავადმყოფოში 15 ივლისს მიყვანილი დაჭრილი ქართველი მოქალაქე ჯვარელია, რომელიც თითქმის ორ საათამდე იმყოფებოდა ქირურგიულ განყოფილებაში, გარდაიცვალა ისე, რომ მასზე ავადმყოფობის ისტორია არაა შედგენილი, ხოლო გვამი ყოველგვარი სამედიცინო საქმის გარეშე გადატანილ იქნა სასამართლო-სამძებრო ექსპერტის პროზექტურაში. ასე, რომ ჩადენილია სისხლის სამართლის დანაშაული. საერთოდ არის ეჭვები იმის შესახებ, რომ გარდაცვლილ ჯვარელიას ირგვლივ საიდუმლოებით მოცული უფრო დიდი ბოროტება იმალება. ასევე საგულისხმოა გავრის საავადმყოფოში მოხდარი შემთხვევა, როდესაც ქართველი დაჭრილს არ აღმოუჩინეს სათანადო სამედიცინო დახმარება, რის შედეგადაც მოჰკვეთეს ფეხი.

უნდა ითქვას ისიც, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა სამედიცინო-პროფილაქტიკური მომსახურების 80 პროცენტი ქართველ მედიკოსებზე მოდის, ხოლო წამყვანი თანამდებობები აფხაზებს უჭირავთ: აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრი—აფხაზი, მისი მოადგილე—აფხაზის მეუღლე, სოხუმის მთავარი ექიმი მოადგილე—აფხაზი, გუდაუთის მთავარი ექიმი—აფხაზი, ტყვარჩელის მთავარი ექიმი—აფხაზი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი—აფხაზი, მისი მოადგილე—აფხაზი, სამედიცინო ტექნიკუმის დირექტორი—აფხაზი, სოხუმის მეორე საავადმყოფოს მთავარი ექიმი—აფხაზი, რესპუბლიკური ონკოლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმი—აფხაზი, სოხუმის ინფექციური საავადმყოფოს მთავარი ექიმი—აფხაზი, ქ. სოხუმის მეორე პოლიკლინიკის მთავარი ექიმი — აფხაზი, სოხუმის საზღვაო პოლიკლინიკის მთავარი ექიმი — აფხაზი... ეს მაშინ, როცა ავტონომიურ რესპუბლიკაში მომუშავე 1.700 ექიმადან 1.100 ქართველია.

შეჭმისა ვითარებამ, საქართველოს მთავრობის ისე და ისე არასაიმედო ეროვნულმა პოზიციამ, უკიდურესად გამწვავებულმა სულეგრამა ტყვიამა, გამოწვეულმა კელურ სისასტიკით დაღვრილ თანამემამულეთა სისხლთა—გვიაძულა ქართულ და, შეიძლება ითქვას, საბჭოთა და მსოფლიო მედიცინის

(დასასრული მეექვსე გვირგვინზე)

## რუსლან ვიჟაბერიძე

### გააფსუებულ ქართველს

(15 ივლისის მონაწილას)

შენს ხახვს შთამომავალი მოიხსენიებს ზიზღით, ვის ჯარში დგახარ დასვრილი დების და ძმების სისხლით, ჯიბეში ვერცხლი ჩაგიდეს, ჯამი გაგივსეს შხამით, თვისტომზე ბოღმანასმევი, მკვლელებს გამოჰყევ დამით. ავაი, შენ, რომ არ გზარავს უღვთოდ დაღვრილი ღვარი, ტანზე ცეცხლს რომ არ გიკიდებს

შენი ქართული გვარი. ავაი, რომ აღარ გახსოვს, კოლხების რომ ხარ მოდგმა. ავაი, გულს რომ არ გიკლავს მეგრელი დიდის მოიქმა. ის, რაც სხვა ტომებს მოწია, რუსი შენც მალე მოგწევს, ვაი, თუ ვერც გვიან მიხვდები, თოფი რა მიწით მოგცეს. მძულხარ და თან მეტრადები მოძმე—გონებაშირი,

არ მემეტება საშენოდ შენი შვილი და ძირი. ავაი, წყველას ვიკავებ, იქნებ გამოთლდეს ბზარი, იქნებ თქვან შენმა ლიკებმა შენი შერცხვინის ზარი. ავაი, რითი გიყიდეს, რის ფასად დასწვი ხიდი, რა მოგცეს „ივანანაზე“, „ოდოიაზე“ დიდი. ავაი, როგორ გამიგებ, დედაენასთან ყრულ ხარ, მე დავდუმდები, პასუხი ღმერთს და წინაპარს უთხარ...



ინფორმაცია განსჯისათვის

**„საბრალდებო დანაკვირვანი“:**  
 «...Вскоре после своего назначения на должность проректора тов. Гварамия А. А. стал увлекаться крикливо-выпячиванием и преувеличиванием одних лишь недостатков и упущений в карьеристических целях, умалчивая при этом о положительной работе, проводимой в университете, выдвигать необдуманные и необоснованные требования в решении кадровых вопросов, что несомненно вызывает справедливое недовольство в коллективе. Вместо создания спокойной, доброжелательной обстановки, начал злопыхательские, грубые об-

ращения наших работ на стороне. Все это походило на определенное издевательство, а в случае со мной, когда моя работа была отослана в Тбилиси, и настоящую провокацию».

**0. ბაღაძე (ზოგადი ფიზიკის კათედრის გამგე):** «...не прислушиваясь к мнению коллектива, Вы (მიმართავს გვარამია-რედ) стали возражать против избрания т. Габисония О. Д., чтобы занять его должность (ნაგულისხმევია ალგებრისა და გეომეტრიის კათედრის გამგის თანამდებობა-რედ.), что и было сделано Вами».

**3. შურაბაძე (პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, —ამჟამად პედაგოგ-**

ступления, Ваши действия и отношения к коллегам, к сотрудникам университета не отвечают никаким требованиям, предъявляемым к руководителям».

**6. ლაპინაძე:** «Вы, Алеко Алексеевич, не проявляли необходимых качеств, которыми должен обладать руководитель вуза».

**8. ლაპინაძე:** «...т. Гварамия А. А. требует фактов для его обвинения. Если всего того, о чем сказали, недостаточно, то разве не факт, что весь актив университета, в т. ч. весь состав ректората и парткома сказали ему, что его не хотят и не могут с ним работать. За это ко-

Гварамия будет работать, если он оказался один?..».

**0. შვიზაძე (მიმართავს გვარამია-რედ):** «...С тех пор, как я стал очевидцем одного Вашего телефонного разговора, я перестал Вас уважать».

**პილიპე რამდენიმე შტრიხი:**  
**ზ. ანაბაძე (რექტორი):** «...Говорили мне и о том, что он (გვარამია-რედ.) поносит меня везде и всюду, но я и этому не верил, пока он не сказал прямо в лицо (4 августа с. г. в присутствии ответственных работников скомма и горкома партии А. Гулия и Т. Чсчия), будто бы я ненавижу его с первого дня его прихода к нам в вуз, не только не помогаю в работе, но и мешаю ему, устроил ему «судилище», что я люблю только подхалимов, которые передо мною выслуживаются и т. п. Все это является продуктом его досужей фантазии... Я считаю, что т. Гварамия А. А. не может больше оставаться проректором нашего университета, во всяком случае, я не хочу иметь такого заместителя. Вместе с тем я не ставлю вопроса об изгнании т. Гварамия А. А. из нашего вуза вообще: допускаю возможность его оставления в качестве зав. кафедрой алгебры и геометрии».

**8. ლაპინაძე:** «...Я согласен с предложением о невозможности его пребывания на должности проректора по науке».

**6. სონელია:** «...Предлагаю записать в решении о нецелесообразности пребывания тов. Гварамия А. А. на должности проректора по научной работе, оснований для этого, больше чем достаточно».

**3. მარღანიძე:** «...за внедрение порочного стиля и метода работы с кадрами, освободить т. А. А. Гварамия с должности проректора по НИР».

**და გოლოსი, განაჩენი:**  
 «...За неподобающее коммунисту, руководителю вуза, действие, выразившееся в нагнетании нездоровой обстановки в коллективе, в выпячивании и преувеличивании отдельных недостатков в карьеристических целях, за необоснованные и нетактичные высказывания в адрес руководителей и отдельных сотрудников университета, считать нецелесообразным дальнейшее пребывание товарища А. А. Гварамия на должности проректора по научной работе АГУ им. А. М. Горького...».

იმ დღიდან შეიძინე წელი გავიდა... მავანმა და მავანმა იქნებ არც გააძარცვოს ჩვენი ნაბიჯი, ისტორიის სანაგვეზე გადაყრილი „უძრავობის“ პერიოდის დროინდელ მტვირთვს დოკუმენტებს რომ შევახებთ ხელი...  
 უამთა მსვლელობა გააცხადებს სრულ სიმართლეს. ამ მასალებმაც მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის უნდა ნახონ დღის სინათლე, რათა იმათ, ვისაც ასუს დღევანდელი ხელმძღვანელობა საკუთარი ერის ინტერესებისათვის შეკრულ მუშტად მიანიათ, ირწმუნონ—ეს ავგურთა ერთობაა ოდენ, იმათი, ჩირადაც რომ არ უღირთ ჭეშმარიტება და არც ის ეპიტეფებათ, ვინც მებაირანსტრედ გაუხდიათ.  
 ამაზე მეტყველებს ჩვენს ხელთ არსებული ერთი დოკუმენტი.  
 მას ასე:  
 მოქმედების დრო—1982 წლის 16 ნოემბერი.  
 მოქმედების ადგილი—ფხანჯეთის ა. შ. გორაკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.  
 მოქმედნი პირნი—ბრალდებული—ასუს პრორექტორი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დარგში ალექო გვარამია. ბრალდებულნი: ასუს პარტკომი და რექტორატის საბჭო, აგრეთვე მოწვეულნი პირნი.  
 სრული შთაბეჭდილების შესაქმნელად ციტირება მიმდინარეობს დოკუმენტის დედნის ენაზე—ყველა ქვემოთ დასახელებული პირი აფხუა ერთგულებისა.

# ოქმი № 37

ращения, создавшие конфликтную, порой и скандальную ситуацию. Грубость, унижения, оскорбления и даже преследования отдельных сотрудников, иногда и руководителей университета для него стало нормой поведения».

**„ბრალდებულის“ მოქმედების მოტივები:**  
**0. შვიზაძე (ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი):** «...ему (გვარამია-რედ.) показалось, что должность проректора мало для него».

**„ბრალდებულის“ დამოკიდებულება იმდენ „თანამოქმედობაში“:**  
**6. ლაპინაძე (პოლიტეკონომიის კათედრის გამგე):** «Принципиальную критику со стороны членов парткома и ректората, он стал называть «судилищем», организованным ректоратом. Тем самым оскорбил не только ректора, но и всех высказывающих в его адрес доброжелательную критику. Последние, по словам Алеко Алексеевича, оказались слепыми орудиями, с помощью которых ректор (ზ. ანაბაძე-რედ.) справляется со своей «жертвой»».

**6. სონელია (სსრკ ისტორიის კათედრის გამგე):** «Вместо создания спокойной и доброжелательной рабочей обстановки, товарищ Гварамия А. А., сознательно или неосознанно способствовал созданию конфликтной, а порой и скандальной ситуации. Были оскорбления, унижения, а порой и преследования отдельных сотрудников, даже руководителей университета. Стиль и методы его работы очень хорошо характеризуются злополучным рецензиро-

ვის კათედრის დოცენტი): «...Он (გვარამია-რედ.) путает уважение к старшим с подхалимством, оскорбляет своих коллег, называя их подхалимами».

**0. შვიზაძე:** «...Его отношение к авторитету университета, руководства, определенной части профессорско-преподавательского состава создает нервную обстановку в коллективе. Нет у него гибкости, его никогда ни в чем не переубедишь, он просто не способен уважать чужое мнение...».

**6. ლაპინაძე (პრორექტორი იდეურ-აღმშრდებლობითი მუშაობის დარგში, ამჟამად საღამო და დაუსწრებელი განყოფილების პრორექტორი):** «... Он (გვარამია-რედ.) преследовал людей и мстил... при том нередко в свою выгоду... Он организовал позорный поток «ходоков» ко всем членам ректората, в т. ч. ко мне, из которых некоторые пытались и шантажировать... Вы знаете, как он по-хулигански при Вас много раз оскорблял меня, но все это я со слезами терпел ради престижа коллектива. Я бы еще терпел, не сказав и этого, но всему есть предел...».

**„თანამოქმედობაში“:**  
**0. ლაპინაძე (საორგანიზაციო მეთოდური კომისიის თავმჯდომარე, ამჟამად პრორექტორი სამეცნიერო დარგში):** «...Вы, Алеко Алексеевич, себя показали несерьезным, безответственным человеком. Вам не хватает элементарного мужества и жизненной мудрости... Вы подвели себя, своих родных и всех нас... Я считаю, что Ваши вы-

роткое время своего пребывания на этой должности, он сам, собственными руками «заработал» всю эту ненависть, которая вполне достаточна для его освобождения. Он по натуре, как сказали все, не любит людей, их недостаткам и просчетам радуется, или как кто-то здесь сказал, недостаткам, имеющимся в университете, злорадствует. Он не направляет свою энергию на то, чтобы исправлять недостатки, занимается их фиксацией в своем знаменитом блокноте. Он заслужил неприязнь тем, что все время вмешивался не в свои функции, бегает в высшие органы... Вместо того, чтобы «гасить» конфликтную ситуацию, как один из руководителей, если она возникает, он наоборот «подливает» масло в огонь...».

**6. სონელია:** «Как умудрились довести дело до того, что с Вами никто не хочет работать, как с проректором, в первую очередь. Почему Вы так высокомерны, надменны с товарищами?.. Почему Вы с таким ожесточением цепляетесь за проректорство?..».

**0. ბაღაძე:** «...Вас обвиняют в том, что принимаете решения чаще всего единолично и несправедливо, не сумели поддержать деловой контакт с коллегами...».

**3. მარღანიძე (პროფკომის თავმჯდომარე):** «...Трудно будет работать т. Гварамия А. А. в должности проректора, так как сотрудники университета и руководство его не поддерживают. С кем тов.

რებში არაფერი ცუდი არ გამოკეთებია ქართველთა მიმართ. ყველა ქართველი (გააფხაზებულთა გარდა) ძმებდა მიმარჩნია.  
 ერის გამყიდველი „გააფხაზებულთა ქართველი“ არც აფხაზებს მოუტანს სასიკეთოს და, რა თქმა უნდა, არც ქართველებს, რადგან ასეთნი და მსგავსნი შათნი „ღამუ-

რები“ არიან, ან უფრო მარტივად რომ ვთქვათ, გადაგვარებულნი. ასეთები თესავენ ერთა შორის მტრობას, აუკუღმართებენ ქართველთა და აფხაზთა შორის. ისინი გამოჩენის მიზნით გააფხაზდნენ, სინამდვილე ასეთია და სწორედ ამისთანებს უნდა გამოვუცხადოთ ბრძოლა.

**ვალდია ხაგავა.**

ინფორმაცია განსჯისათვის

ვროვნებით ვარ აფხაზი. ძალიან მწყინს დღევანდელი აფხაზურ-ქართული ურთიერთობა. ჩემი აზრით, „წყალი ამღვრიეს“ ე. წ. გააფხაზებულმა ქართველებმა, რომლებმაც სასაუბრო აფხაზურად არ იციან და თავი აფხაზებად ჩაიწერეს. მე, პირადად, ასეთი ხალხი მიმარჩნია დამნაშავედ, სწორედ ქართული წარმოსობის „აფხაზებისაგან“ უნდა

გაიწმინდოს ნამდვილი აფხაზობა. ეს რომ მოხდეს, მაშინ, ალბათ, ყველაფერი დალაგდება.  
 მე გულრიფშის ილიის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დასახლებაში ვცხოვრობ, მრავალი ქართველი მიცნობს, მყავს მეგობრებიც, რომლებთანაც შეხვედრა მრცხვენია. თითქოს მე ვიყო დამნაშავე მომხდარში. ჩემი ნაცნობები დამეთანხ-

მებიან, რომ არაფერი ცუდი არ გამოკეთებია ქართველთა მიმართ. ყველა ქართველი (გააფხაზებულთა გარდა) ძმებდა მიმარჩნია.  
 ერის გამყიდველი „გააფხაზებულთა ქართველი“ არც აფხაზებს მოუტანს სასიკეთოს და, რა თქმა უნდა, არც ქართველებს, რადგან ასეთნი და მსგავსნი შათნი „ღამუ-

რები“ არიან, ან უფრო მარტივად რომ ვთქვათ, გადაგვარებულნი. ასეთები თესავენ ერთა შორის მტრობას, აუკუღმართებენ ქართველთა და აფხაზთა შორის. ისინი გამოჩენის მიზნით გააფხაზდნენ, სინამდვილე ასეთია და სწორედ ამისთანებს უნდა გამოვუცხადოთ ბრძოლა.

**ვალდია ხაგავა.**

ვინ აგვარებს წყალს?

# ჩვენს ნურვინ შეგვეხილება!

ჩვენს 15-16 ივლისის სოსუმს, ძიძიშვილის დღით გათვალისწინებული ჩვენი ერის მონათლული სულის მრისხანე აკივლება შემანახარებელ ექვთიმე დავულის თეორი დათვის ნათარქვალ, მაგრამ რაღაც სასაუბრო მანც კლდედ აღმართული კავკასიის ექვთიმე და ბეობებს, რათა კიდევ ერთხელ ვცადოთ განაკეთება ამირანის ირგვლივ სულიად კავკასიის, ჯაჭვი ავუწვივით და იბერიულ-კავკასიურ სამშობლოში ჩვენს-ჩვენს დედენაზე დაგონით კარში გაპოზრდილი კაცები—ნათარქვალის ძემუსთავი რომ დადრანა.

ის არ აღუზრდათ შიშის სეკსით, მას საუცხოოდ კვებდნენ, მაგრამ არ არ ყულენდნენ ჩვენი მთებიდან გადმოჩანქარებული წყლით.

იძიშვილები „აღსაზრდელოდ“ კარში პირველად მაშინ ჩავიხივდნენ, როცა ისლამით თვალბადვებულს ბიჭვინთის, ლიხნის, ანაოფის, ცაშის, მოქვის, ილიაის წინდა ადგილებთან ზურგმკცევი დგომა მოსთხოვეს.

ნურვინ მაშინ, როცა „ერთმორქვენი“ გენერალ-ენოვარაფილოლოგი-ისტორიკოსები, მათი ვერაგი სამწიგნოდ ამოვირისებულნი ანბანით შეიარაღებულნი, „პროსკრიტიზმის“ მანტიამ „აპეკენად“ დედადნენ მათგანვე პონტოს ზღვაში ჩახვეტილ და სულთნის საბრძანებელში „კონსტანტინე“ სვლაგუნდასაზღვრულ აფსუთა შთამომავლობას.

მესამედ მაშინ, როცა „პირველად“ აყვებით და „საშუალო“ განათლებამიღებული მოძმენი ჩვენი 1921 წელს სერგო ორჯონიძის, ნესტორ ლაქობას, სხვათა და სხვათა მოძღვრებას ხარბად დაუფლებულნი, აღმა ხნავენ რა პაპისა და მორალს საფლავებს, ექსორიკმნილ აფსუთა დეფიციტს „სტახანოვი“ წესით ავსებენ მედროვე თუ დოკუპატი პარტეულთა ხარჯზე. ამ მართვი და „უწყინარი“ მეთოდით აფხაზეთში ერთი ძმა აფსუთა ხდება, მეორე პარტეულად რჩება. აფსუთა დირექტორი ან რაიკომის მდივანი, პარტეული კი მისი ღარიბი ნათესავი. გვიან და გვიან, ერთის შთამომავალი ბატონი, მეორის—შინაყვამა და თუ ადრე ერთი კვართის ხალხი, ე. ი. სახლიკაცები ვიყავით, მაინცდამაინც არც ვანსხვავებდით პარტეულსა და აფსუთას, „ზაკონის კაცთა“ სამართალმა გულარხეინობა მკაცრად მოგვკითხა.

მეოთხედ და ექვთიმე, დიდი დროით, კარში მაშინ ჩასვეს ჩვენი ჯილაგი, როცა „აფხაზეთის წერილის“, „ლიხნის მიმართვისა“ და სხვა ანტიპარტეული, ამდენად ანტიაფხაზეთი თანხლებებით საბოლოოდ ვინაობაარმეული ხალხი მართვად ჭურვად აქციეს პარტეულ სხეულში.

თუმცა ამას ყველაზე ნაკლებდამანავედ თვით ჩვენი უბედური მორალეშვილებია, ჩვენ—მით უმეტეს. „ერთმორქვენი“ მსხენლების ხელწერა ამჟერადეც უმეცარია: მათ აფსუთაში აფსუთას სული ჩაჰკლეს, სცოდნენ, მაგრამ ისეთი ილეთებით, რომ ლამისაა, ჩვენც დაგვაძეკონ ჩვენს სიმართლში.

ასეა თუ ისე, სამშობლოს მკერდში საშიში ჭურვია, მისი ტარება სიცოცხლისათვის საშიშია, დასტაქრის ჩარევა აუცილებელია, მაგრამ იმ დიდი პასუხისმგებლობის აუცილებლობით, რომ უნდა გადავიჩინოთ დედასთან ერთად შვილიც — ერთ-ერთის გაწირვა ამ შემთხვევაში ღვთის წინაშე ცოდვია.

მაგრამ ამისათვის ჯერ სწორი დიაგნოზია დასადგენი.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, სადაც უსაფრთხოდ სანგარში ჩასაფრებულ

ლია არაკეთილმოსურნე. ზუსტი გათვლებითა და მოვლენათა კოორდინირებული განვითარებით გვიგორებს დანადგულ კამათლებს ხან ქვემო ქართლში, ხან—ჯავახეთში, სამაჩაბლოში, აფხაზეთში...

სამართალი ქართველებმა თვითონ უნდა გავიჩინოთ, დროა, კანტი-კუნტად დავეუბროთ ტაში, ჩვენი გვიარის კაცს „დიდი სამშობლოს“ შთავრებაში ერთხმად როცა ირჩევენ, „ერთმორქვენი“ მთავრობის კაცი „ერთმორქვენი“ მოხელეა, იქ ერთხმად არჩევისათვის აქ „ნებყოფლობით“ შეერთების 200 კლისთავი უნდა გვაუბნოს. საქართველოში ამ გზამ ვერ მიგვიყვანა ტარამდე.

და ეს სასებით ბუნებრივია, მოსკოვთან ჩვენი ურთიერთობის წინაპრობა 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების, საქართველოს 1921 წლის 25 თებერვლის აქტისა და სრულიად საქართველოს ისტორიულ მიწებზე ჩვენი უფლებების ცნობა უნდა იყოს, სხვა შემთხვევაში ყოველგვარ სურვერენიტეტზე საუბარი პოლიტიკური კონსტრუქცია, მისგან გამოდინარე შედეგებით და ნუ გვიკვირს, როცა გამომწვევია ჩვენდამი დამოკიდებულება ჩვენსავე მიწაზე.

როცა ქ. სოსუმში საქართველოს სახალხო ფრონტის ფორუმი ჩატარდა, ზევრმა არც იცის, ალბათ, რომ გუდაუთის რაიონიდან და არა მხოლოდ იქიდან, მუქარის კილომ გაგოვონა, მეტიც, აფხაზეთის ასსრ პრეტორი ბატონმა ა. კვიციანი-მ, როგორც ამბობენ, არ მოიწვიეს ეს „ბუნობრაზე“, რადგან, თურმე ნუ იტყვი, ამით ვილაც გავადიხანეთ. საინტერესოა, იმავე პროკურატურაში თუ კითხულობს ვინმე, ქართველობა ღიზიანდებოდა თუ არა „ფილარმონიის“ აქციებით“ ქ. სოსუმში, მთიულეთი გვრეთ წოდებული ყრილობით და სხვა ანტიპარტეული ინსცენირებებით, რომელიც „აიდელორას“ რედაქტორობით წარმართება ხოლმე და რომლის მხაკრული სამსახურელი ჩვენმა რაინდმა მძებმა ჩეჩნებმა და ინგუშებმა პირწმინდად ამხილეს.

„ჩაგრული“ ძმები ჩვენი, შინაგან საქმეთა სამსახურის ნაწილების ცხვირწინ მართავენ ყოველგვარადამიანურ ღირსებას მოკლებულ ღონისძიებებს, რომლის მიზანი ერთია—გათამამაშონ დაზარალებული მარე, გული აუჩუყონ ისედაც გულაჩუყებულ, პლაყებზე წამოწოლილ, ზოგ შემთხვევაში ზნეობადანურდავებულ, საეჭვო მიზნით ჩამოსულ მოქალაქეებს და მათი ხელის მოწერით ვინა მისცენ ლობადი კაპიტალის მინიმუმ სსრკ ასპარეზე გატანას, ცრუინფორმაციებზე მონადირე „ნეოსუსლოვსტები“ ხომ მარაგდებიან და მარაგდებიან ზუსტად მათა ღირსებისათვის შესაფერისი „ნეოსუსტებით“.

გაგრამი, მაგალითად, ძალად მოშიშვლებებს 2.000-მა „საქმეში“ ჩახელულმა“ ხელი მოუწერა ქართველთა სალანძღვ წერილებზე.

ჩვენ რომ მართლა სუვერენული სახელმწიფო ვიყოთ, მილიონი საფუძველია საპროტესტო ნოტის არა აფსუტების, არამედ მათი „აპეკენი“ როდიონოვის რუსეთისადმი, მაჰჯირობა რომ არ აქმარა „აფსის“—სულის მხარეს, გაუქმეა რა შამა, მამინაცვლად დაუდგა, თამაშობს მოსიყვარულე მშობელს და აფსუთა აქ ჰგავს იმ გერს, მამინაცვლის შიშით თუ საამებლად, მამის ჩობანი სურათისაკენ რომ არ იხედება.

როცა საგანგებო ქვეყის პირობებში ტყვარჩელში ხდება ტერორიზება ქართველი მოსწავლეებისა და მასწავლებლების, ოჩამჩირეში ჩვენთვის წმინდა ცნებების წაბილწვის

მცდელობა, გაგრასა და გუდაუთაში პირწავარდნილი თარეში, სოსუმში მწერალთა სასახლისა და ბელადის ძეგლის წინ ღამის არტუ მშვიდობიანი სერობები აღვირამოუდებელია, საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, საგანგებო ქვეყის წესები ქართველთათვის კიდევ ერთი ბორკილია და ახალი ასპარეზი 15 ივლისის სეცნარის ავტორთათვის, ამიტომ, ალბათ, დროა, მალემსობოლი ოთხივე კუთხით დავაგზავნოთ, რათა ვილიცდოს ჩვენში ბოლოსდაბოლოს პიროვნებამ, ღირსებამ და თავმოყვარეობამ, ამბობდეს გულში დავით აღმაშენებლის გენი და თავი მოვიყაროთ წმინდა გიორგის დროშასთან.

„აიდელორა“ ომის მდგომარეობაშია ჩვენთან, ამდენად, მასთან ლაპარაკი, ვფიქრობთ, დამთავრდა.

ამ დღეებში ბატონებთან რუსლან მიქაბერიძესთან და დიმა ჯაიანთან ერთად ვესაუბრეთ ერთ ნაღდ აფსუთა კაცს ოჩამჩირიდან (ტოლკი ხიბა—ოჩამჩირე, სოსუმის გზატკეცილი 125) მისივე თხოვნით. ვნახეთ მოტუებული კაცი, რომელმაც გარცება ვერ დამალა, როცა ვუთხართ, რომ ჩვენ ვიბრძვით, რათა აფსუთამ მშობლიური კონცეფციის სკოლაში ისწავლოს. და ა. შ.

ბოლოს გვითხრა, მუხლებზე დავდებოთ თქვენს წინ, რასაც ამბობთ, იმის ნახევარი თუ მართალიაო.

და ჩვენ ვასუსხობთ მას, არა, მეგობრო, მუხლებზე ნაღდი კაცები არ დგებიან, ხელი ჩამოვართვა ერთმანეთს და ადრეებულ ენგულს მივადგეთ, რათა ვალმა ვასვლის წინ დავიფიცოთ: „ჩვენ იმ გვიარისა ვართ, ვისაც უკან დააქევა არ სჩვევია!“

მაგრამ განა უნდა ჩვენი შერიგება იმ ჭგულს, ვინც ამზადებს აფხაზეთის ტელევიზიის გადაცემებს, ან დღეისათვის ითხოვს უნივერსიტეტის შეერთებას. ჯერ ერთი, სუფთა პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს ამ ეტაპზე იქნება ყოველდღიური შეხლის კერა, მეორეც, რამდენად სწორია ამის გაკეთება უნივერსიტეტის გახლეჩის მიზეზთა თუნდაც ზნეობრივი შეფასების გარეშე, მესამეც, გვერა, ოდესმე ჩვენ შევეერთდებით, მაგრამ შევეერთდებით არა ა. მ. გორკის სახელობის უნივერსიტეტში, არამედ ქართულ-აფხაზეთი კონცეფციის, ვაქვათ, გიორგი შერვაშიძის სახელობის უნივერსიტეტში, ამისათვის კი სულ მცირე რამეა საქირო—დაუბრუნდეს აფსუთა წინაპართა ფესვებს. დენაციონალიზაციის ინტუბატორში ქართველი ახალგაზრდობა არ შევა!

კავკასიის ქედის იმერ-ამიერ ქართველი ერთი არ დაუშვებს, რომ მკვიდრმა ეთნოსმა დედაენაზე არ წარმოთქვას მზის სადიდებელი. ღვთით ბოძებული უფლებაა, თითოეულმა კავკასიელმა იალბუზს მისი კუთხის სარკმლიდან შეხედოს, ჩვენ ქრისტიანები ვართ და სისხლის აღრევის ფარდი ცოდვა გვეგონია; ადამიანს შეგნებულად დამართო ქრონიკული სურდო, რათა ვერ იყნოსოს მამულის სანახების სურნელი. გვეყო გულარხეინობა, საყოველთაო ლაშქრობა გამოვაცხადოთ სრულიად საქართველოსთვის, კავკასიის ბუნებრივი მრავალმნიანობის ნაყრძალისათვის, ჩრდილოეთელი. და სამხრეთელი ბრაკონიერების „მზრუნველობის“ თავიდან აცილებისათვის, ხოლო ყველა ქამის მდგრადუნს უნდა გავუპასუხოთ: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენს სურვილს შეგვეცილება, თორა...“

**სიმონ საჯიან,**  
სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე.

აფხაზეთში ტრაგედია დატრიალდა. და, რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, არა სტიქიური უბედურების ან შემოსევის შედეგად, არამედ ეროვნებათშორისი ურთიერთობების გამწვავების გამო, თანაც რეგიონში, სადაც სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ყოველთვის მეგობრულად და შეთანხმებულად ცხოვრობდნენ. განსაკუთრებით მტკივნეულია, რომ კონფლიქტი მოხდა აფხაზეტსა და ქართველებს შორის, რომლებიც დასაბამიდან ერთმანეთში ნათესაური ძაფებით იყვნენ გადახლართული ერთად იზიარებდნენ ქირსა და ლხინს, იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. მოხდა ყველაზე საშინელი, რაც შეიძლება მომხდარიყო — ძმამ ძმაზე ხელი აღმართა. დაიღუპნენ უდასაშუალო ადამიანები.

ორც ადამიანებს, საკუთარი ხალხის წინაშე რომ ჩაიდინეს დანაშაული. ახლა, როცა საქართველო ქემარტი სუვერენიტეტის გზას ადგას, როცა პოლიტიკური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განსახლვრელ სუბიექტად მკვიდრი ერები უნდა იყვნენ, თანაც საყოველთაოდ დაკმაყოფილდეს რესპუბლიკის მთლიანი მოსახლეობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნები, როგორც არასოდეს, ისეა საქირო საქართველოში მცხოვრები ხალხებსა და ყველა სოციალური ფენის კონსოლიდაცია. და ეს მოაკარია, რადგან იმაზე მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტია, ჩვენ არა გვაქვს. ყველაფერი, რაც ამ მიზნის მი-

# გზა ხსენისა ერთადერთია...

ცხადია, ეს ტრაგედია თავისთავად არ მომხდარა. მას კონკრეტული დამნაშავეები ჰყავს: იდეურად შთამაგონებელი და ბოროტების შემსრულებელი. ისინი უნდა გამოვიდნენ და მკაცრად დაისჯონ. მხოლოდ მაშინ, როცა დამნაშავეთა სახელები გამოცხადდება და კანონის მთელი სიმკაცრით საკადრისი მიუხდევბათ, შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ წარმატებით დავადექით შერიგების გზას. შერიგება კი ერთადერთი გარანტიაა საიმისოდ, რომ მსგავსი რამ არ განმეორდება.

საქიროა, ყველამ გაიგოს, რომ არ არსებობს ცუდი ხალხი, რომ ტრაგედიაში ერთი კი არ არის დამნაშავე, არამედ გარკვეული, შეიძლება დიდი ნაწილიც ექსტრემისტულად განწყობილი ადამიანებისა.

მე ეროვნებით აფხაზი ვარ. დედა და ცოლი ქართველები მყავს. ჩემთვის ერთნაირად ძვირფასია დედა და მამის ეროვნება. ვერახოდეს წარმოვიდგენდი და ვერც წარმოვიდგენ ნორმალურ ცხოვრებას ამ ერთიანობის გარეშე, ჩვენი საერთო სამშობლოს — საქართველოს მიმართ სიყვარულისა და სიამაყის გარეშე.

დღეს ჩვენ საერთო სატიკავა გვაწუხებს. იმ აფხაზეტმა, რომლებმაც ძმებზე ხელი აიდეს მათგან, ვისთვისაც ძვირფასია და რომელთა ბარბაროსულმა თავდასხმამ უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე იმსხვერპლა, უბედურება და განუკურნებელი ტივილი მიაყენეს არა მხოლოდ ქართველებს, არამედ აფხაზ ხალხსაც, კეთილი ნების ყველა ადამიანს. თუმცა ჩვენ გვაქვს, რადგან ეროვნულ შუღლს არა მარტო აფხაზი ხალხი, არამედ ნაციონალისტურად განწყობილი პირები, მაინც მთელ ერს ეცემა ჩრდილი. მე ვთვლი, რომ ეს ადამიანები არა მარტო უნდა დაისჯონ კანონით, არამედ აფხაზეტშიც არ უნდა ეწოდეთ, როგორც უღირსებს, რო-

დწევამა გვიშლის ხელს, დასათავად არ მომხდარა. მას კონკრეტული დამნაშავეები ჰყავს: იდეურად შთამაგონებელი და ბოროტების შემსრულებელი. ისინი უნდა გამოვიდნენ და მკაცრად დაისჯონ. მხოლოდ მაშინ, როცა დამნაშავეთა სახელები გამოცხადდება და კანონის მთელი სიმკაცრით საკადრისი მიუხდევბათ, შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ წარმატებით დავადექით შერიგების გზას. შერიგება კი ერთადერთი გარანტიაა საიმისოდ, რომ მსგავსი რამ არ განმეორდება.

ეს მიმართა, რომელშიც დასმულია საქართველოს სახელმწიფოებრივი - ტერიტორიული მთლიანობის შეცვლის საკითხი, არა მარტო უსაფუძვლოა, არამედ პოლიტიკურადც მცდარია, რადგან მან უნდობლობა დათესა, კოხტროცტაციამედ მივაყვანა, და ეს მაშინ, როცა სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენს საერთო სამშობლოში მცხოვრებ ხალხთა, მთელ ძალთა კონსოლიდაციას, საწუკარი მიზნის განხორციელების — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

შერიგება თავისთავად არ მოგვაწუხებს. იმ აფხაზეტმა, რომლებმაც ძმებზე ხელი აიდეს მათგან, ვისთვისაც ძვირფასია და რომელთა ბარბაროსულმა თავდასხმამ უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე იმსხვერპლა, უბედურება და განუკურნებელი ტივილი მიაყენეს არა მხოლოდ ქართველებს, არამედ აფხაზ ხალხსაც, კეთილი ნების ყველა ადამიანს. თუმცა ჩვენ გვაქვს, რადგან ეროვნულ შუღლს არა მარტო აფხაზი ხალხი, არამედ ნაციონალისტურად განწყობილი პირები, მაინც მთელ ერს ეცემა ჩრდილი. მე ვთვლი, რომ ეს ადამიანები არა მარტო უნდა დაისჯონ კანონით, არამედ აფხაზეტშიც არ უნდა ეწოდეთ, როგორც უღირსებს, რო-


**იური მარშანი,**  
რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს განყოფილების გამგე.  
(თარგმანი რუსულიდან).

**მეპაპე პალეიბა (145 წლის):**  
„აფხაზეთის პირველ მოსახლეებს განეკუთვნებოდა გვარები — აგრა, ადლები, ინაფშა... ყველა ისინი გამოვიდნენ „ყირიმიდან“ (მხედველობაში აქვს ყარაიხი)... ჩვენი წინაპრები გადმოსახლდნენ, როცა გაიგეს, რომ აფხაზეთის მოსახლეობა გაიფანტა და იგი უდაბნოდ იქცა...“

**Симон Басария. «Редкие случаи долготелія в Абхазии», в кн.: «Труды Абхазского научно-исследовательского института», Сухуми, издание АБНИКа, 1934 г., стр. 108.**

მ ო მ ა მ ე კ უ ა

კათალიკოს ანდრეას სიტყვაზე,  
რომელიც მიმართა თავის  
მზამბლას მან 1922 წელს: „—  
სული ჩემი—ღმერთს, გული ჩემი  
— სამშობლოს, ხოლო მორი ჩემი  
თქმენ, ჯალათებო!“



ეროვნული გმირები, როგორც გენიოსები და ბრძენკაცები,  
იშვიათად იბადებიან. მათი ბედი, სიმბოლოურად, ტრაგიკულია...

აწე დასრულდა შენი ცხოვრება... ყოველ ბრძოლაში მართა-  
ლი იყავი, რამეთუ თრგუნავდი ღორბელებს, უსამართლობას...

პირადი მეობა მივიწყებული გქონდა, რადგან ისწრაფოდი ერის  
დაკარგული უფლებების აღსადგენად.

შენისთანები ხომ ერს აკლდებიან და ვაი, რომ ქართველი  
ერი დიდხანს ვერ აინაწილდებოდა ამ დანაკლისს, მაგრამ „კურთხე-  
ულ ხარ შენ, ტაძარა წმინდასა დიდებისა შენისასა, ქებულ,  
დიდებულ და ამაღლებულ უკუნისამდე, კურთხეულ ხარ შენ, რა-  
თა სასჯელი სამართალი საჭე წყალობასა და მოწყალებსა ჰყოფდის  
ძმისა მიმართ თვისისა“.

გული შენი ერისა და ქვეყნის სიყვარულით იყო გამოთარა და  
ამიტომაც ჩავიხუტა წმინდა ალაკა.

შენი და შენი ირაკლის ჭეარცმული ცხოვრების სანაცვლოდ  
ქართველ ერს დაუტოვე რწმენის კედელი, მისხლ-მისხალ, სიცოც-

რა დიდებულა, განსაცვიფრებელი, ნათლით მოსილი, ამაღლებული:  
— სული ღმერთს!  
— გული ერს!  
— მძორი თქვენ — ბოლშევიკებს!  
რა გახლებდა, რა ნებაა, რა ქარიშხალია, რა ღელვაა:  
— სული ღმერთს!  
— გული ერს!  
— მძორი თქვენ — ბოლშევიკებს!  
სამშობლოზე ლოცვა—სამშობლოს დაღატად  
შერაცხა სატანამ — წითლად შეთითხნილმა.  
გმირს ასამართლებდნენ, ეშმა აბოზქრდა,  
ხოლო კაცი იგი მშვიდად მიუგებდა:  
— სული ღმერთს!  
— გული ერს!  
— მძორი თქვენ — ბოლშევიკებს!  
ზეციდან დაგვნათის მწუხარე ვარსკვლავი —  
სული წმინდანისა და ქართველის გული,  
სამწყსოს თვისას უფალს შეგვედრებს კვლავაც!  
ძირს კი მძორს ძიძგნიან სატანას მსახურნი.



ვისაც ერთხელ მაინც უსაუბრია  
შენთან ერის ტიფილებზე, სამომავ-  
ლო ბრძოლის გზაზე, მას მუდამ  
ემახსოვრება სამშობლოს, ბედით  
გულდამწვარი კაცის აჯანყებული  
სულის აღწევება, რასაც შენი ნათ-  
ელი, ამაღლებული შუბლის სიწმი-  
ნდევ ამტკიცებდა.

ძნელია, ძალზე ძნელი ამ დაგვი-  
ანებული სიტყვების წერა, ძნელი  
ვოვა!

„ქეთილ არს კაცისაი, რაუამს  
აღილოს უღელი მძიმეი სიკაბუკით-  
გან თვისით“.

ჩვენ, შენი მებრძოლი სულით  
გამოღვიძებული და წამებული  
სიკვდილით გაოგნებული, ვფიცავთ,  
რომ მაღლა აღმართვით ეროვნულ  
დროშას და ომბინად შევახებთ:  
კიდევაც დაიზრდებიან  
ალგეთს ლეკვები მგლისანი,  
ისე არ ამოწყდებიან,  
ჯაგრი არ ჰკამონ მტრისანი!

მ მ რ ა ბ კ ო ს ტ ა ვ ა

ჩ ა თ რ ე მ ე ა ს ჩ ა ყ ო ლ ა ს ჯ ო ბ ს !

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!  
ამგვარად მთავრდება უმეტესწილად ორატ-  
ორთა გამოსვლები ბოლო ხანებში გამართულ  
მრავალათასიან მიტინგებზე.

იგი უმთავრესი ღონისძიება მსოფლიოს  
დროსაც, რომელსაც ათასების სკანდირება  
ერთვის. იგია ტრანსპარანტების უპირველესი  
ლოზუნგი.

და არც შემთხვევით.

საქართველოს დამოუკიდებლობა დასახა  
პროგრამა მაქსიმუმად ამა საუკუნის 70-იან  
წლებში საქართველოს პელსინკის ჩვეულებრივ  
შოგიერთმა წევრმა, რომელთაც აღმინანის  
უფლებები მხოლოდ ერის უფლებებთან და  
თავისუფლებებთან ერთობლიობაში წარმოუ-  
დგენიათ.

იგივე დასახეს მიზნად ილია ჭავჭავაძის  
და წმინდა ილია მართლის საზოგადოებებმა,  
აგრეთვე ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტი-  
ამ 80-იანი წლების მეორე ნახევარში.

წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ  
1988 წლის 8 მაისს, საზოგადოების ფარგლ-  
ებში დამოუკიდებლად გამოაცხადა საქართვე-  
ლო, რაც ნიშნავდა, რომ მისმა ნებისმიერმა  
წევრმა ამიერიდან უნდა იცავდეს თავისუფ-  
ალი ქვეყნისათვის შესატყვისი შინაგანი  
მორალური კანონები.

1988 წლის 23 ნოემბერს, მთავრობის სააწ-  
ლისთან გამართულ 200-ათასიან მიტინგზე  
ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ და წმინდა  
ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წა-  
რმომადგენლებმა, საქართველოს უმაღლესი  
საბჭოს პრეზიდიუმს მოსთხოვეს 23 ნოემბერ-  
ის სესიაზე სსრკ-ს შემადგენლობიდან გაეყვა-  
ნა საქართველო, რადგან იგი ამგვარი გამო-  
ყოფის იურიდიულ უფლებას დაკარგავდა,  
თუკი სსრკ-ს პრეზიდიუმის 29 ნოემბრის სე-  
სია არ გააუქმებდა კონსტიტუციის შესწორე-  
ბებისა და დამატებების პროექტს, სსრკ-ს  
შემადგენლობიდან საკუთარი ნებით გამოყოფ-  
ის უფლებას რომ ართმევედა რუსუბლიკებს  
და სამუდამოდ აკანონებდა მონობას. აღნი-

შნული პროექტის უცვლელად დატოვების  
შემთხვევაში, ორატორები ეროვნული დამო-  
უკიდებლობისაკენ, პერმანენტული გაფიცვე-  
ბისა და თბილისის მკვდარ ქალაქად გამოცხ-  
ადებისაკენ მოუწოდებდნენ დემონსტრანტებს.

თავისუფლების იგივე იმპულსი ამორავე-  
ბდა ერთი კვირის მანძილზე ათასზე მეტ მო-  
შიშშილეს მთავრობის სასახლესთან, საქართვე-  
ლოს სხვადასხვა კუთხიდან მათ თანამდგომ-  
ად წამოსულ მოქალაქეთა ჯგუფებს. ეროვნუ-  
ლი დროშებით ავლარებული მთავრობის სა-  
სახლის შემოგარენი მთელი საქართველოს  
ყურადღების ცენტრში მოექცა, სადაც დღი-  
თა და ღამით პერმანენტული მიტინგი მიმდ-  
ნარებოდა. მიტინგების მონაწილეთა რიცხვ-  
მა სამგზის (23, 26 და 29 ნოემბერს) 50.000  
კაცის ოდენობას გადააჭარბა. და ვინ იცის,  
რა მოხდებოდა, ხელისუფლებას შესწორება-  
თა და დამატებათა პროექტის დრაკონული  
მუშაობები რომ არ შეეცვალა.

დამოუკიდებლობის მოპოვების უკანასკნელი  
იმედის დაკარგვის საშიშროებამ თავდაყირა  
დააყენა მთელი საქართველო. სულ უფრო  
მეტმა მოქალაქემ შეიგნო, რომ ქართველ  
ხალხს ხელეწიფება დამოუკიდებლად არსებო-  
ბა, რომ ამგვარი არსებობა სიკეთეა ნებისმი-  
ერი ერისთვის, რამეთუ მასში მსოფლიო სა-  
მართლიანობა გამოისკვივს.

მაგრამ, რა უნდა მოხდეს ამგვარი სამარ-  
თლიანობის აღსასრულებლად?  
რა უშლის ჩვენში დღეისათვის ხელს უფ-  
ლებათა და თავისუფლებათა მსოფლიო სტა-  
ნდარტების ცხოვრებაში გატარებას?

სანუგვარი დამოუკიდებლობის მოსაპოვებ-  
ლად როგორ უნდა ვიმოქმედოთ?  
მოთხოვნა კონსტიტუციის იმ მუხლის შეს-  
რულებსა, რომლითაც სსრკ-ს შემადგენლო-  
ბიდან გამოსვლის უფლება გვეძლევა, თუცა  
როდია ხმა მღალაღებლისა უდაბნოსა შინა,  
მაგრამ როგორც 1978 წლის 14 აპრილს, ასე-  
ვე ამჟამად, მართოდენ ქალაქზე დაწერი-  
ლი ფაქტიური გარანტიების შენარჩუნებისა-

თვის გავარძოლა საბჭოთა ხელისუფლებამ.  
ხელნერად გვიქმნის იგი დამატებით პრო-  
ბლემებს ძირეული პრობლემიდან ყურადღე-  
ბის გადასატანად. ძირეულ პრობლემას, მაქსი-  
მუმის მოთხოვნას კი რეალური ძალა უნდა  
უმარგებლდეს ზურგს. პოლო მოთხოვნის ნაც-  
ვლად იმპერიის ხელისუფლებისადმი თხოვნ-  
ის აღვლენა ფრიად სასაცილოა, რადგან ზე-  
ობასთან მათ ქეშპარტი გაგებით საქმე მარ-  
ტოდენ მაშინ ექნებათ, როდესაც ან იმპერი-  
ას გაუქმებენ, ან იმპერიის ხელმძღვანელო-  
ბაზე აიღებენ საკუთარი ნებით ხელს.

საქართველო დაიპყრო და 26 მაისის ზემი  
25 თებერვლის ძაქებით შეცვალა ბოლშევიკ-  
ურმა რუსეთმა. მანვე მოაწყო ოციანი და ოც-  
დაათიანი წლების სასაკლაო, ძმა ძმას ჯაშუ-  
შად მიუჩინა და საციცენტრაციო ბანაკებით  
გაავსო ქვეყანა. აღამიანური სინდისის ნანგ-  
რებებზე უტიფრობისა და დაუნდობელი ფა-  
ნატიზმის გუთანი გადაატარა და ამ ჯოჯოხე-  
თურ ხელებში შიშისა და სულმდაბლობის  
კუპრისფერი თესლი უხვად მოაპნია, ანგრია  
ეკლესიები და მუსრკა სასულიერო პირები,  
კერძო აღმართა და მასზე ალოცა ხალხი, უწ-  
იფარ, ოქტომბრულად შერაცხულ ჭუჭუჭი-  
ოვარა ბაღლებს აკენიდანვე მოახვია თავს  
მისი იდეოლოგია, რითაც იმთავითვე შეურაც-  
ხყო აღამიანში თავისუფალი არჩევანის „მე“,  
ცნობიერების განვითარების საკრალური იმპ-  
ულსი.

ფარისევლობის ეტალონად ქცეულმა რუსე-  
თის მოღვინიზებულმა იმპერიამ ერთ დროს  
თავისი სოციალიზმი ნაციონალ-სოციალიზმით-  
ან შეაჯერა. მისიკიდან რადიოტალღებით ე-  
მარებოდა გერმანე- ფაშისტებს ვარშავის  
დაბომბვაში, ჰიტლერთან ერთად დაინაწილა  
პოლონეთი, მისივე თანხმობით დაიპყრო  
ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, და თუმცა ამჟა-  
მად ჰიტლერის კვალზე სტალინიც დაჰვმო,  
საოკუპაციო ჯარების გამოყვანას ამ ქვეყნებ-  
იდან მაინც არ აპირებს. ევროპის დანაწილე-  
ბაში ოდესღაც პარტნიორი ჰიტლერისა, 43

წლის მანძილზე ყოველ 9 მაისს ზემობს ფა-  
შისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს, ევ-  
როპის გათავისუფლების სიმბოლოდ რომ  
შეურჩევიან. სწორედ გერმანიაზე გამარჯვების  
შემდეგ იქცა რუეთი ევროპის უარეს ყანდ-  
არმად. ახალი სიმამფრთხე განმეორდა გასული  
საუკუნის სურათი. რამდენიმეგზის სისხლში  
ჩაახშო პოლონეთის ეროვნულ-განმანათლებ-  
ლებელი მოძრაობა, ცრემლის ტბა დააყენა  
უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, თითქმის ნა-  
ხევარი საუკუნეა ორად ჰყავს გახლეჩილი  
გერმანია და მთელი ევროპა. ევროპის ტრა-  
დიციულმა ყანდარმმა სხვა კონტინენტებიც  
არ დაინდო. მისი მთხებით აღმოცენდა მთი  
ქე დუნის, კომი სენის და დიდულ კასტორს  
ტრატალიტარული რეჟიმები, მანვე განიზარა-  
აფლანეთის დაპყრობა. ესაა იმპერია-გასაბჭოე-  
ბისთანავე საქართველოს ნახევარი რომ და-  
ურიგა მეზობელ ქვეყნებს, დემოგრაფიული  
და ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დაა-  
ყენა ქვეყანა, რომლის ხელმძღვანელობამ  
შესანიშნავად უწყის, თუ რა მოუვლა მცხეთას,  
რუსთავსა და თბილისს, კოლხეთის დაბლობს,  
ქინვალთან და ენგურპესთან სპიტაკისა და  
ლენინაქანის მსგავსი მიწისძვრა რომ განმეო-  
რდეს. იცის და მაინც არ იღვწის მათ დასაც-  
ლულად, რადგან ელექტროენერგია—აღამია-  
ნების, მთელი ერების უსაფრთხოებაზე მალ-  
ლა აყენებს. იმპერიას, მცირერიცხოვან ერთა  
ასიმილირებას, ნაცრისფერ მასად ქცევას რომ  
ლამობს, შეგნებულად ხომ არ განუზრახავს  
ქართველი ერის გენოციდი? საკვირველი ისაა,  
საკუთარი ხალხისთვისაც აღმინისტრაციულ-  
ბიუროკრატიული იმპერია რომაა იგი, რადგან  
ცენტრალიზაციის პრინციპზე დაყრდნობით  
კულტურისა და ეკონომიკის სფეროთა დაუზ-  
ოგავ აღმინისტრირებას ეწევა ნიდავგ, არ  
აძლევს საკუთარი კანონებიდან გამომდინარე  
თავისუფალი განვითარების საშუალებას.  
სიტყვის, პრესის, დემონსტრაციების, მიტ-  
ინგების და გადაადგილების თავისუფლებას  
არ გაძლევს მიტინგისა და დემონსტრაციის-  
ათვის გაჯარიმებენ სახელმწიფოს სასარგებ-  
ლოდ, ცემას, დარბევასა და დაპატიმრებასაც  
არ ერიდებიან.

(დასასრული შედეგზე გვირდებ)

# ჩატრემას ჩაყოლა სჯობს!

(დასასრული)

დღემიწაზე თავისუფალ გადაადგილებას ითხოვ? თბილისიდან მოსკოვში, თუ დასკირდათ ქუთაისსა და ბათუმშიც არ გაგიშვებენ. ჩამოგვამენ მატარებლიდან, ავტობუსიდან, მსუბუქი ავტომობილიდან, თვითმფრინავიდან და უკან გაგისტუმრებენ.

საზღვარგარეთ მოსურვებ წასვლას საცხოვრებლად? თუ ვაჯუღდი, ჯანდაბის იქითაც გზა გქონია. და ყოველდღე ამისაგან სულშეხუთულსა და ნერვებდაძაბულს ანაზღად აღმოგხდება: ძირს თვითნებობის და ქაოსის საშვიდრებელი!

დინგრეს? მაგრამ როგორ? სად არის ძალი, მისი ძლიერების ვადამძალი? და რომ აღმოჩნდეს, განა უშველის საქმეს. ნებისმიერი იმპერია დანგრეულა და მზვობრობა ხელმწიფეთა არარობად ქცეულა, მაგრამ ძველი იმპერიები იმგვარ ძალას დაუნგრევიან, რეალურად ან პოტენციურად ახალ იმპერიას რომ ატარებდა საკუთარ თავში. იმპერიებს უმეტესწილად ახალი, მომავალი იმპერიის შემქმნელი ბარბაროსული ძალა ანგრევდა, ძალა, რომელიც არსებულ იმპერიაზე გაცილებით უფრო ველურია, ანგრევს არსებულს და ქმნის ახალ იმპერიას და ღირსების დონის შესაბამისად ისევე და ისევე გრძელდება ახალ დამპყრობელთა წინააღმდეგ დამპყრობილი ერების ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად. ამის მაგალითია თუნდაც საქართველო. რა ბედენა, თუკი ერთი იმპერიის დანგრევას უთუოდ ახალი იმპერიის შექმნა მო-

ჰყვება? ეს პროცესი გარდაუვლია და ამიტომაც სასურველია ერთხელ და სამუდამოდ შეწყვეტოს იმპერიების ამგვარი ესტაფეტა. დაე, იყოს უკანასკნელი იმპერია და სხვა ახალი იმპერია რომ არ აღმოცენდეს, სჯობს არ დინგრეს, არამედ თავად განაცხადოს უარი იმპერიობაზე. მანამდე კი, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა დამპყრობელმა ქვეყნებმა გადარჩენისა და ეროვნული აღორძინებისათვის უნდა იბრძოდნენ, რადგან რა თავში იხლი დამოუკიდებლობას, თუკი აღარ იარსებებ, როგორც ერი. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ გადარჩენისა და აღორძინების აღნიშნულ გზას, ანუ პროგრამა მინიმუმის სისრულეში მოყვანას კონფედერაციისკენ მივყავართ. მაგრამ ეს ასე როდია. ერთა საკეთილდღეოდ იმპერიის ხელისუფლებისათვის თანმიმდევრულად გამოგლეჯა მშობლიური ენის სახელმწიფო სტატუსის ცხოვრებაში რეალიზებისა, მოქალაქეობის შემოღებისა, ეროვნული არმიის უფლებისა, ეკონომიკური და კულტურული ავტონომიისა და ა. შ. იმპერიის კონფედერაციად ვერ აქცევს. კონფედერაცია რაიმე ეტაპი როდია ეროვნული დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე. სანაწევროდ მოპოვებული თავისუფლება საცხებით გამოირჩევა მის. კონფედერაციის მხოლოდ ერების სრული დამოუკიდებლობა უნდა უძღოდეს წინ. დამოუკიდებელ ერთა ნებაყოფლობით უნდა იქმნებოდეს იგი. ამიტომაც მიგვაჩნია არალეგიტიმური და პატივსაცემი კონფედერაციის შემოთავაზებას მხოლოდ მაშინ ვაჩანია მორალური განვითარება, როცა ამ

ნაბიჯს წინ უძღვის ამ ერების სრული განთავისუფლება, მათთვის საკუთარი სურვილისამებრ მოქმედების უფლების მინიჭება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისგან კონფედერაციის შემოთავაზება ახალ ხრიკად უნდა მივიჩნიოთ, ოქროს ბოროტად, პრივილეგიებულ მონობად დამოუკიდებლობის ნაცვლად. კონფედერაციის იდეა შესაძლოა უფრო საყოველთაოდ ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობების ყველაზე გამაერთიანებელ იდეად მოჩვენოს ზოგიერთს, რადგანაც სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში სსრკ-ს შემადგენლობაში შემავალი ცალკეულმა ერებმა შესაძლოა გამოირჩეონ ურთიერთი, მაგრამ კონფედერაციისათვის ბრძოლაში ურთიერთგამორიცხვად შეუძლებელია. ამ შემთხვევაში ერთიანობა გარანტირებულია. იქნება მოჩვენებითი დიპლომატიური ხელსაყრელობის მომენტები, რომ კონფედერაციის იდეას, დამპყრობი ერთა ერთობლივი მოქმედების გარანტი შეტად გაუწევინ ანგარიშს რუსეთის იმპერია და დასავლეთის დიპლომატიური უწყებანი — ერთი მის ფიზიკურ, ხოლო მეორე მის მორალურ ძალას. ფიზიკურად მოაზროვნე კაცისათვის ერთობ მცდარია და არადირსად შესაძლებელია ამგვარი ანგარიში. ენის სახელმწიფო სტატუსის, მოქალაქეობის უფლების, ეკონომიკური ავტონომიის და სხვა სიკეთეთა მოსაპოვებლად შესაძლოა ერთობლივად იბრძოდნენ რუსეთის იმპერიაში შემავალი ერებმა, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, არა კონფედერაციის შესაქმნელად. ამგვარი ერთობლივი ბრძოლის პროგრამა მაქსიმუმად კი

ამ ერების სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა უნდა მივიჩნიოთ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი მათი საქმე იქნება, მოსურვებენ თუ არა ისინი კონფედერაციის საფუძველზე ურთიერთშორისი კავშირის დადებას, რადგან მხოლოდ დამოუკიდებლობაში თანასწორობაა ქვეყნები თავისუფალი ნებისა და ერთა შორის ნებაყოფლობითი კავშირების საწინდარი. მოსურვებენ თუ არ მოსურვებენ ამას დაპყრობილი ერები, რუსეთს მხოლოდ ერთი გზა დარჩენია. მისი ხელისუფლების ერთადერთ სურვილად იმპერიის კონფედერაციად გარდაქმნა უნდა იქცეს. ამიტომაც მანამდე სრული დამოუკიდებლობა უნდა მიანიჭოს მან მის მიერ დაპყრობილ ერებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, მათი ტერიტორიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანაში უნდა გამოიხატოს. უნდა დააჩქაროს რუსეთმა ეს პროცესი, რათა თავიდან აიცილოს ყველა დროის იმპერიებისათვის გარდაუვალი ხვედრი, რომლის უღობობობას, საყოველთაო ტოტალიტარიზმისა და ჯარბრუნული ცენტრალიზაციის ჯოჯოხეთური სისტემაც კი ვერ აღუდგება წინ. ამის შემდეგ კი უნდა იცადოს მონანი რუსეთმა, მოსურვებენ თუ არა თავისუფალი ერები მასთან კავშირის დადებას კონფედერაციის საფუძველზე. მხოლოდ ამგვარი მეტამორფოზა იხსნის მას სულიერი კრიზისისა და ფიზიკური განადგურებისაგან.

ასე, რომ ჩატრემას ჩაყოლა, დანგრევას გარდასახვა უნდა ამჟინოს უსამართლობათა მიზეზმა.

საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის „უწყებანი“, № 3, 28. 02. 59.

## ლია წერილი

### აფხაზეთის ასრ სახალხო განათლების მინისტრს ქ-ნ თამარ კოლონიას

მივიღეთ თქვენს მიერ გამოგზავნილი ე. წ. დებულება ახალგაზრდა პედაგოგთა ასოციაციის შექმნის შესახებ.

ძალიან სასიამოვნოა, რომ პედსაზოგადოების აფხაზეთის საოლქო განყოფილება და პირადად თქვენ მოგვწოდებთ შექმნათ ორგანიზაცია, რომლის მიზანია „სუვერენული საქართველოს მოქალაქის აღზრდა“, „ეროვნული განათლების სისტემის შექმნა“, „ეროვნული თვითმფრინების ჩამოყალიბება“ და ა. შ... იქნებ მართლაც გულით გასურთ ამ დიდ საქმეში წვლილის შეტანა, ჩვენ კი, ჩვენდა თავად, უნდა გაცნობოთ შემდეგი:

გულრიფშის რაიონში ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში შეიქმნა ახალგაზრდა მასწავლებელთა კლუბი „მოძღვარი“ (მისი არსებობა თქვენ უსათუოდ გეცოდინებათ).

ჩვენ, მის წევრებს ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოგვხდა — იყო დევნაც, მშობელთა დაბარება-დაკითხვები, ბეზღებაც, მუქარაც... არადა, „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ყური რომ დაეგდოთ ჩვენთვის, გაეგონათ და გაეგოთ, იქნებ ამ ასოციაციის შექმნის ინიციატივა ლაგოვდებოდა კი არა, გულრიფშისა და წამოსულიყო.

კაცთაგან განწირულნი ღმერთმა არ მიგვატოვა, უფროვე შეგვაკავშირა და ახლა თქვენ, თქვენ გვთხოვთ, ქ-ნო მინისტრო, ახალგაზრდა პედაგოგები საერთო საქმისათვის გაერთიანდითო.

დიდი მადლობა. ჩვენ ისედაც ერთად ვართ და ერთადვე და ცალკეც ეროვნულ საქმეს ვემსახურებით, საქართველოს ხვალისდელი დღისათვის ვიღვწით...

ერთ რამესა ვთხოვთ; ქ-ნო მინისტრო და პედსაზოგადოების თავმჯდომარე: თუკი მართლა გულით გწადიათ, რომ ჩვენს სკოლაში სუვერენული საქართველოს მოქალაქე აღიზარდოს, ეს იდეები მთელს აფხაზეთში გაატარეთ, გულრიფშა და ვალში კი არა, ტყვარჩელში, გუდაუთაში, ოჩამჩირეში, იქ, სადაც ქართული სიტყვაც კი უცხო რამ, ცხრამთისგადამღერი ჰგონიათ და ყოველივე ჩვენული აღაშფოთებით და აღიზიანებით მავანთ (ამის დასტურად ისიც კმარა, სასწავლო წელი რარი ოქტომბრის ნაცვლად სექტემბერში რომ დაიწყეს)...

ჩვენ კი, კვლავ გიმეორებთ: გულრიფშის რაიონის თვითმმართველობაზე დამყარებული პროფესიულ-პოლიტიკური ორგანიზაცია, წმინდა მიზნებითა და ჩანადიერებით, რომელმაც წინააღმდეგობების ძლევასა და თვითდამკვიდრებას მოანდომა მთელი განვლილი დრო, თუმცა ზოგი რამ მაინც მოახერხა... სახალიოდაც ბევრი ჩანადიერი ვაქვს, ქ-ნო თამარ...

თუ კიდევ რაიმე განტერცებთ „მოძღვარის“ შესახებ, შეგიძლიათ თავად მობრძანდეთ და გაგვეცნოთ.

**გულრიფშის რაიონის ახალგაზრდა მასწავლებელთა კლუბი „მოძღვარის“ წევრები.**

## როდემდე?

საიდან და რითი დავიწყეთ წერილის წერა უდროოდ დაღუპულ ქართველ ჯარისკაცზე. იქნებ ვაზეთებში გამოქვეყნებული მადლობის ბარათებიდან, ასე გულდაგულ რომ ამოუტრიათ ლილი და შალვა ქობალიძეს, იქნებ თვით ლონდონს წერილიდან, რომელიც შორეული აღმოსავლეთიდან გამოუგზავნიათ ამ ზაფხულს ქართველი ჯარისკაცების სახელით მასა და მის მეგობარ ი. კორინთელს „საბჭოთა აფხაზეთისათვის“. წუხდნენ: „ვის აძლევს ხელს საქართველოს შინაგანად დაგლეჯა?.. გამოიშველებმა ყოველი მხრიდან შემოგვიტყოსო... კმარაო დაღვრილი სისხლი, ტყვილი და ტანჯვა-ვაება“...

ან იქნებ სამხედრო ჰოპიტლის ცნობით, რომელშიც გაკრული ხელითაა აღნიშნული მისი ავადმყოფობა. ან იქნებ იმ ქალღალთ, რომელზეც შავი დიდი ასოებით აწერია: გარდაცვალების მოწმობა.

19 წლის ფშაველი ლონდო ქობალია ხაბაროვსკში გარდაიცვალა... დიდტერით. ახლობლებმა აგონიაში მყოფს მიუსწრეს. ჩვენი სახელოვანი „წითელი არმიის“ სამხედრო ექიმებს არ აღმოაჩნდათ იმხელა ცოდნა და უნარი, რომ გადაერჩინათ, უფრო სწორად, ყველამ ყველაფერი იღონა, რომ იგი დაღუპულიყო...

ვინ იცის, ეს მერამდენე მსხვერპლია პირსისხლიანი მინორტარისთვის საქართველოდან გაღებული. როდემდე?

გრძელდება წვევამდელთა აქცია. საბჭოთა არმიაში სამსახურზე უარს აცხადებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ახალგაზრდები. არა, ისინი ლაჩრები არ არიან, დავით ჭლამუნდისა და ცოტნე დადიანის ჯიშის კაცს ჯაბანს, შემდრკალსა და შეშინებულს ვერ უწოდებ... აქციის მონაწილეთა რიცხვმა 500-ს გადააჭარბა. ახალგაზრდები ეროვნული, ქართული ჯარის შექმნას მოითხოვენ. და სრულიად სპარტოლიანად.

## ეკივები სიმატლეს ითხოვენ

(დასასრული)

ისტორიაში უპრეცედენტო, იძულებითი, ჩვენივე მრწამსის საწინააღმდეგო ნაბიჯის გადადგმა — ქართველ ექიმთა საგაფიცო კომიტეტის შექმნა.

\* \* \*

რაც წაიკითხეთ, მხოლოდ ნაწილია ორი წერილისა. სხვა დოკუმენტების მოხმობაც შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, აქაც ნათლივაა გაცხადებული ტყვილი.

იწერება და იწერება მიმართვე-

ბი, მოთხოვნები, მაგრამ ქართველ ექიმთა შეშფოთებული ხმა არავის ესმის, თითქოს საგანგებოდ დაიხშვეს ყურთასმენა იმთ ვისაც ხელწიფებთა ყველას მიაგოს მისაგებელი...

25 სექტემბერსა და 5-6 ოქტომბერს სოხუმში, ექიმთა სახლთან გამართილებელი გაფიცვებიც კი მოეწყო, მაგრამ მაინც არაფერი შეცვლილა.

ექიმები სიმატლეს ითხოვენ, რადგან მათ ყველაზე მეტად შეიგრძნეს ივლისის იმ ავადსახსენებელი დღეების სიმძაფრე...

**ქართველ მედიკოსთა საზოგადოებას**

1989 წლის 15 ივლისს, იმ საშინელ დამეს მომიტლეს შვილი — სოსო (ზაზა) ავთანდილის ძე ჯვარელია, რომელიც ქ. სოხუმში ცხოვრობდა და მუშაობდა ქალაქის სამგზავრო ავტოკოლონაში № 12 ავტობუსის მძღოლად. დარჩა ორი შვილი — 4 წლისა და წლინახევრის.

როგორც ირკვევა, ჩემი შვილი აფხაზეთში სცემეს ტრანსპორტს პროკურორ ბგანბას კართან. ბგანბა კი დახმარების ნაცვლად იმით დაკმაყოფილდა, რომ მისმა ცოლმა დაურეკა ქართველ მეზობელს და უთხრა: „ქართველს კლავენ და წაიყვანეთ აქედან თბილისშიო“.

როდესაც სასწრაფო დახმარების მანქანა მოვიდა, ის მხეცები ექიმებს არ უშვებდნენ სადარბაზოში. მაშინ ბგანბამ მათ რაღაც უთხრა აფხაურად და ექიმი და მძღოლი შეუშვეს. შემდეგ იგი მიიყვანეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში. მთავარი ექიმი ვ. აბუხბა არ დებულობდა დაქრილ ქართველებს და ძლივს მიაღებინეს. ჩემი შვილი ცოცხალი იყო, მაგრამ საჭირო დახმარება არ აღმოუჩინეს და ასე უმოქმედობით მოკლეს. საავადმყოფოში

არ დაწერილა ავადმყოფობის ისტორია.

მე ბრალს ვდებ საავადმყოფოს მდებარეობას — აბუხბა, ტუუბას, სმირს, ბარკალიას, იპეჩიანს და ყველას, ვინც იმ დამეს მუშაობდა... ბრალს ვდებ აგრეთვე პროკურორ ბგანბას...

კიდევ ერთი ფაქტი: 18 ივლისს ჩემი შვილი იმეო არ იყო პროექტურაში. მათ კი გაფორმებული ჰყავთ 18 ივლისის რიცხვით. სად იყო მანამდე მისი გვამი?

არ ვენდობი სოხუმის ექსპერტის დასკვნას, რადგან მასში არ არის აღნიშნული ყველა ის დაზიანება, რაც ჩემს შვილს ჰქონდა სხეულზე. გთხოვთ, დამეხმაროთ ხელახალი ექსპერტის შექმნაში, ოღონდ იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს სოხუმისა.

გთხოვთ დამეხმაროთ ჩემი შვილის მკვლელებისა და მათი ხელშემწყობების დასჯაში.

ეს აუცილებელია, რომ მსგავსი ბოროტება არ განმეორდეს.

პატივისცემით **დოდო ჯვარელია**, სენაის რაიონი, სოფელი ნოსიონი.

რასაც ვასცემ, შენია!

ვისაც ვსურთ უწამლოთ საქართველოს ტყვილებს, უპირისუფლოთ მთასა და ბარს, დაეხმაროთ მოყვასს...

მოგიწოდებთ, გაიღოთ სახსრები რუსთაველის საზოგადოების ფონდისათვის. რაიონული განყოფილების ანგარიში № 70090 გულრიფშის აგრომრეწვანკში.

„სამრეკლოს“ შექმნა შეგიძლიათ რაიონის „სოიუსპეჩატის“ ჯიხურებში, რუსთაველის საზოგადოების პირველად ორგანიზაციებსა და რაიონული განყოფილების რევიდენციაში. ცნობებისათვის დაარკეთ 5-22-55.